ISSN 0132—5965

1989 წ. ოქტომბერი № 10

572/
1989/2



ცივწყარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ჭიჭინაძე

გვითხარ, წინწკარა
ცივწყაროვ —
ღვთისმშობლის ცრემლო
ცინცხალო,
ყველაზე მეტად
ვინ გიყვარს,
ყველაზე მეტად
ვის სწყალობ?

— ვინც ამ მთა-ბარის
მცველია,
მისთვის მკლავმოუღლელია
და ვისაც გაჭირვებისას
ყველგან იმედად
ელიან...

გმადლობთ, ცინცხალა
ცივწყაროვ,
შენმა გამჩენმა
იხაროს.

ლექსო და თამუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა 1989

თამაზ ბიბილური

მოდით, ბარემ თავიდანვე გავიცნოთ: ლექსო და თამუნა და-ძმანი არიან.

ლექსო ხუთი წლისაა, თამუნა — სამისა.

ლექსო დინჯია და დარბაისელი.

სიდინჯე და სიდარბაისლე არც თამუნას აკლია, მაგრამ, როგორც გოგოებმა იციან ხოლმე, ზოგჯერ ზედმეტი ამჩატებაც უყვარს. ამგვარ დროს ლექსო შუბლს შეიკრავს და დაიკოს ეტყვის:

— თამრიკო, იცოდე უფროს-უმცროსი.

ათასში ერთხელ, თუ ნიკუშა ესტუმრათ, ბიჭები, რა თქმა უნდა, ერთად თამაშობენ და გოგოს თავს არ უყადრებენ. თამუნა თავს არხეინად იჭერს, ვითომც არაფერიაო, და ამგვარ დროს ბიჭებს თავისი განათლებით ჯაბნის: თუ ტელევიზორში ნახატ ფილმს უჩვენებენ და ყურცქვიტა ბაჭია ატირდება, ბიჭები ხარხარს დაიწყებენ და ერთმანეთს ეკითხებიან, — რა ატირებსო. თამუნა კი თავს ყოვლისმცოდნის სიამაყით ასწევს და იტყვის:

— დედა მოენატრა.

განსაკუთრებული დღე მაშინ დგება, თუ ქალაქიდან მამიდა და ძია ამოვიდნენ. მამიდას და ძიას იქვე, მეზობლად აქვთ სახლი, მაგრამ უქმე დღეებში თუ გამოჩნდებიან. მაშინ დედა მოამზადებს ნაირ-ნაირ ნამცხვრებს, კოხტად დააწყობს დიდ თეფშებზე, ლექსო და თამუნა ამ თეფშებს საზეიმოდ აიღებენ ხელში და მამიდა-ბიძიას ეზოში გადადიან. წინ ლექსო მიდის, უკან თამუნა მიჰყვება. ორივეს ამაყად უჭირავს თავი. დადგებიან შუა ეზოში თეფშებგაწვდილნი და, დილამდე რომ არავინ გამოიხედოს, ეგრე ხმის ამოუღებლად, მაგრამ მაინც ამაყად იდგებიან.

— აბორიგენები მოვიდნენ! — დაიძახებს ამ დროს ბიძა.

— მობრძანდით, — ხელებს გაშლის მამიდა, თეფშებს ჩამოართმევს, შინ შეიტანს და ახლა თავადაც დააწყობს რამერუმეს თეფშებზე, გამოვა მამიდა ეზოში და სადღა არიან ლექსო და თამუნა?

გამქრალან!

არ გავა მცირე ხანი და ლექსო და თამუნა ისევ გამოჩნდებიან. ისევ თეფშები აქვთ გამოწვდილი და ისევ ამაყად ჩერდებიან შუა ეზოში.



მხატვარი **ვაჟა ქურხული**

19037

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიაც ისევ გამოვა და იმავე სიტყვებს დაიძახებს:

— აბორიგენები მოვიდნენ!

სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ აბორიგენი აქაურს, მამაპაპურ მკვიდრს ჰქვია და ლექსო და თამუნაც ხომ იმ სოფლის მკვიდრნი არიან. იმათ პაპა-ბებიასაც იქ უცხოვრია და პაპა-ბებიის წინაპრებსაც.

მამიდა ახლა უკვე აჩხუბდა და ეზოს გადაღმა თავის რძალს გასძახის: —რა ამბავია ამდენი რამის გამოგზავნა, დაგვასვენეთ, ამდენი ჭამა აღარ შეგვიძლია, აღარა!

ამის თქმაა და ლექსო და თამუნა ისევ გაქრებიან.

მამიდა იტყვის, არაფერში ზომა არ იციან ჩემმა ძმამ და რძალმაო. ბიძა გაიცინებს, რა ვქნათ, რომ ასე კარგები ვართ და ვუყვარვართო.

ცოტა ხნით ლექსო და თამუნა დაავიწყდებათ. თავისი საქმით გაერთობიან. აბა, სოფელში საქმეს რა გამოლევს...

და უცებ მამიდა ბიძას გასძახებს — ერთი გაიხედე ეზოშიო!

ბიძა გაიხედავს და ორივეს სიცილი აუტყდება:

შუა ეზოში ისევ ლექსო და თამუნა დგანან. ვეება თეფშები გამოუწვდიათ (თეფში სავსეა მსხლებით, ბლითა და ატმებით) და ხმის ამოუღებლად, მოთმინებით ელიან, როდის გამოვა ბიძა და თავისებურად დაიძახებს:

— აბორიგენებს გაუმარჯოს!

გაივლის წლები და ლექსოს და თამუნას ეს ყველაფერი დაავიწყდებათ... ან იქნებ არც დაავიწყდეთ? სასაცილო და თანაც ძალზე სასიამოვნო ამბებს, განსაკუთრებით, თუ ბავშვობაში გადახდენია, ადამიანი ძნელად ივიწყებს. მე კი, როცა სოფელი მომენატრება, როცა ქალაქში გამოკეტილს მიწა და სუფთა ზეცა მეძახის, თვალწინ ხატად ის სურათი დამიდგება:

შუა ეზოში უხმოდ მდგარი, თეფშებგამმოწვდილი ლექსო და თამუნა.

თეფშები კი, რასაკვირველია, ხილითაა სავსე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2 × 2

„ჩოთქს“ ჰქვია საანგარიშო!

ტარიელ ჭანტურია

— არასოდეს შემცდარა
მამაჩემის „ჩოთქი“:
ორჯერ ორი ოთველთვის
არის მხოლოდ ოთხი!
არასოდეს შემცდარა
„ჩოთქი“ ჩემი მამის:
ერთჯერ სამი ოთველთვის
არის მხოლოდ სამი!
რასაც იანგარიშებს,
არის მუდამ სწორი:

ერთჯერ ორი ოთველთვის
არის მხოლოდ ორი!
ეს არ იყოს „ჩოთქი“ და
არ გამიწყრეს ღმერთი,
ერთჯერ ერთი ოთველთვის
თუ არ იყოს ერთი!
— ამირანამ, მაგ ბრიყვმა,
საქმე არ იშოვა?
„ჩოთქი“, ბიჭო, მოსწავლის
საანგარიშოა!
— იყოს საანგარიშო!
საანგარიშოთიც
ოთხი შოთი გამოვა
ორჯერ ორი შოთი!

მხატვარი **ბესო ხიდაშელი**

ოსტატები

რევაზ ინანიშვილი

გალერეაში სოფლელი თუ ქალაქის ძალიან განაპირა უბნელი ბავშვები შემოვიდნენ. წინ მასწავლებელი ქალი მოუძღოდათ. მასწავლებელსაც და ბავშვებსაც ყოჩაღად ეჭირათ თავი, ყოჩაღად ათვალიერებდნენ სურათებს და ქანდაკებებს. მაინც ეტყობოდათ, რომ ქალაქელები არ იყვნენ. ჯერ ერთი — მზით ჰქონდათ შეშუშხული სახეები და ხელები, მეორეც — ცოტა თუ მეტად გაეცინებოდათ, სულ ერთმანეთს ეფარებოდნენ.

მხოლოდ ერთი თორმეტიოდე წლის ბიჭი მიდიოდა თავისთვის. ხელები უკან ჰქონდა შემოწყობილი, დაფიქრებული უყურებდა ყველა სურათს, ყველა ქანდაკებას. გამორჩევით დიდხანს გაჩერდა მხრებმოშიშვლებული, გაცინებული ბიჭის ბიუსტთან. უკანიდანაც შემოუარა, ისევ წინიდან შეაჩერდა, მივიდა მთლად ახლოს, ასწია ხელი, ფრთხილად დაუსვა მხარზე.

— ხელი! ხელი! — მოისმა მკაცრი ხმა.

ბიჭმა მიიხედა, ხნიერი ქალი და მთლად თეთრთმიანი, ხელჯოხისაკენ დაღუნული მამაკაცი იდგნენ. ქალი წყრებოდა:

— შეხება როგორ შეიძლება! ყველამ რომ ეგრე აუსვ-დაუსვას ხელი, რას დაემსგავსება!..

ბიჭმა თავი ჩაღუნა და წავიდა. იმ ოთახში აღარაფრისათვის შეუხედავს, მეორე ოთახში ისევ კოპებშეკრული მიაჩერდა დიდ ტილოს, რომელზედაც დიდი ლურჯი მთები და პატარა მხიარული ცეცხლი იყო გამოსახული. თავზე ვიღაცამ დაადო ხელი, აიხედა. ის თეთრთმიანი კაცი იყო, ხნიერ ქალთან რომ იდგა წეღან.

— გეწყინა? — ღიმილით ჰკითხა კაცმა ბიჭს.

ბიჭს გაუგებრობა გამოეხატა სახეზე.

— ქალი რომ გაგიწყრა, — ხელი, ხელიო.

ამაზე ბიჭს გაეღიმა. მაინც არაფერი თქვა.

— მეც სულ შენ გიყურებდი...

თეთრთმიანმა კაცმა მკლავში ხელი გამოსდო. ჯოხი მეორე ხელში გადაიტანა.

— თან ვიაროთ, შენს ჯგუფს არ ჩამორჩე. ერთი რამე მინდა გიამბო და, თუ შეიძლება.

ბიჭმა თავი დაუქნია.

— მიამბეთ.

— პაპა მყავდა ერთი, კახეთში, ვაზიძირას ეძახდნენ. ხომ კაი სახელია — ვაზიძირა!

ბიჭმა ისევ თავი დაუქნია.

— იმ ვაზიძირას იმოდენა ვენახი ჰქონდა, თავში რომ დაგეძახნა, ბოლოში ვერ გააგონებდი. თან მოვლილი იყო ის ვენახი, ცუდად შებრუნებულ ფოთოლს ვერ უნახავდი. დასხმა იცოდა, თითქოს საგანგებოდ დაუკიდებიათ მტევ-

ნებიო... და აი, ამოდენა, ასე დასხმულ ვენახში, ყურძენი რომ შეითვალებოდა, შემწიფდებოდა ცოტა, — სად შეითვალებოდა ხოლმე ყველაზე პირველად, ხომ იცი, — ბილიკთან; დავინახავდით ჩვენ, პატარები, იმ ახალშეთვალულ მარცვლებს და წაგვიცდებოდა ხელი, გამოვკენკავდით. ვიცოდით, არ უყვარდათ ეს გამოკენკვა დიდებს, მაგრამ მაინც წაგვიცდებოდა ხელი.

გამოვკენკე ერთხელაც ზუსტად სამი მარცვალი და ტკაც — ლოყაში! გადავხტი.

გაცეცხლებული პაპა კიდევ მიღერებდა სილას.

— რამდენჯერ უნდა გითხრათ, ნუ ჰკენკავთ-მეთქი, რამდენჯერ უნდა გითხრათ!

წამოიწია ერთხელაც, მაგრამ გავიქეცი.

მაშინ ვერ ვხვდებოდი ასე კარგად, ახლა კი აი, ასე ვხედავ ყველაფერს, ჩემი ხელისგულივით. პაპას ძალიან მოსწონდა, ეამაყებოდა თავისი ნაკეთობა — ვენახი. მოჭუტავდა თვალებს და უყურებდა ხოლმე საურმიდან ტკბობით. შიგნით მოწყვიტეთ, მთელი მტევანი მოწყვიტეთ და აქედან ნუ მიმახინჯებთო. გიუებივით უყვართ თავიანთი ნაკეთობები ნამდვილ ოსტატებს, მევენახე იქნება თუ მოქანდაკე, სულ ერთია... შენ რა გაინტერესებდა იმ ბიჭის მხრისა, ხელი რომ დაუსვი?

ბიჭმა გაუბედავად თქვა:

— როგორ იყო გაპრიალებული!

— კარგად იყო?

— კარგად.

თეთრთმიან კაცს გაეცინა, ჯოხი ორივე ხელით დაიბჯინა წინ.

— სითბოც ხომ არ გაინტერესებდა?

ბიჭმა თავი დაუქნია.

— თბილი არ აღმოჩნდა?

— კი, თბილიც იყო.

— აბა, გავშლილვარ წელში, — აიმართა, — ეგ ბიუსტი ჩემი გაკეთებულია; ჩემი შვილიშვილია, პატარა.

— მართლა? — თვალები გაუბრწყინდა ბიჭს.

— მართლა.

კაცმა ბიჭს მხრებზე მოსდო ხელი.

— გიუებივით არიან ოსტატები, ერთ წერტილს ვერ იტანენ სხვის დასმულს თავის ნაკეთობაზე, სულ ერთია, მოქანდაკე იქნება, თუ მევენახე ვაზიძირა. ამიტომ არაფერი არ უნდა გეწყინოს მათგან.

ხელიც და ჯოხიც ასწია გამომშვიდობებისა ნიშნად და წავიდა.

— ვინ იყო, რას გელაპარაკებოდა? — ჰკითხა ერთმა ცხვირაპრეხილმა გოგონამ ბიჭს.

ბიჭმა მხრები აიჩეჩა. მაინც იდგა და იქით იყურებოდა, თეთრთმიანი კაცი რომ წავიდა.

მხატვარი **ედუარდ ამბოკაძე**

ლიფტი

ლია ტაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა საქმე გვიხმობს გარეთ,
უმალ ვჩნდებით ლიფტთან,
თითს დავაჭერ ციცქნა ღილაკს,
აინთება წითლად.
გაიღება შახტის კარი,
„მობრძანდითო, აბა!“ —
და კაბინით — ჰერი, ჰერი, —
ძირს ვეშვებით სწრაფად.
თუ შემთხვევით დაზიანდა,
ისმის ვაი-ვიში,

ჩქარა, ჩქარა, მოეხმარეთ,
ჩვენს ლიფტს გასაჭირში.
გამოცდილი ხელოსანი
ჩხირკედელობს დინჯად,
ბაგირსა და რკინის ჯახრაკს
დაკვირვებით სინჯავს.
ხუმრობაა, ჩვენს სიცოცხლეს
უფრთხილდება იგი,
კვლავ ინთება ღილი წითლად,
კართან დგება რიგი.
არხეინად აღმა-დაღმა
დავსეირნობთ ახლაც,
ლიფტი ჩვენი განუყრელი
მეგობარი გახლავთ.

მხატვარი **გია ლაფაური**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა მწყემსი

ზაალ ეგანოიძე

ეს პატარა ბესია
მთლად ნამდვილი მწყემსია.

მოკუნტრუშე თიკნებით
მოხატულა ფერდი;
ეზმანებათ ჯიქნები —
ავსებული რძეთი.

ჰეი, გოგო, ნათია —
მომეშველე, მადლია.
აქეთ გამოუწყერი,
არ შეგვასწრონ ტყეში;
რა ეშმაკებს უცქერი
ცაში, გოგო, შემშლი!

ირგვლივ მინდვრის ზღვა არის,
ნათი ბესის და არის.
ხატპეპელებს დასდევს
ნათი — ფრთახატულა;
მოკუნტრუშე თიკნები
ველზე დაფანტულან.
ველამდე აქვთ ცვრიანი
მობიბინე მოლი,
გოჯა რქებით ამაყობს
მათი წინამძღოლი.

ეს პატარა ბესია
მთლად ნამდვილი მწყემსია.
წუთი-წუთზე ითვლის —
გაწვდილი აქვს თითი:
ერთი,
ორი,
სამი —
შეეოვნდება წამით.
ხომ არ მაკლიაო,
მწყემსის ნაკლიაო,
თუკი ფარეხს არვე
თვლით არ მიადგება;
მზე გორაკებს გადასცდა
უკვე გვიანდება.
ჰერი, ახლა სახლისკენ,
მხარზე კომბლით — ჰერი,
ბესი არვეს აგროვებს
და ხმამაღლა მღერის:
— გამოვდენე ოცი და
მომეკავს უკან ოცი,
ბებოს გაეხარდება,
თვალებს დამიოცნის.

ეს პატარა ბესია
მთლად ნამდვილი მწყემსია.

გივი გეგეჭკორი

აკაკი წერეთლის ცხოვრება

ქუთაისის გიმნაზიაში. თუნუქის ფირფიტა. კოცებუ. მაქსიმოვიჩი და გამოცდები. ტროე. საპეგა. „ორი სიზმარი“. „კანდელი“.

სოფელთან გამოთხოვებას აკაკი მტკივნეულად განიცდის. აქ გათავდა ჩემი ბავშვობის პირველი ხანა — ბედნიერი, ნაყოფიერი და დაუვიწყარიო.

გიმნაზიაში შესული აკაკი ერთად თავშეყრილ იმდენ ბავშვს რომ დაინახავს, ერთ ადგილზე დაბნეული დადგება. მოზრდილი ბავშვები სულგანაბულები მერხებზე სხედან, ახლადმოსული პატარა მოწაფეები კი კედლებთან ჯგუფ-ჯგუფად ატუზულან. კედლებზე ირგვლივ ჩამოკიდებულ ქაღალდის ფიცრებზე ბავშვებს ანბანს და ამოსაღებს აკითხებენ. ყოველ ჯგუფს უფროსი ჰყავს. ბავშვს თუ კითხვა შეეშლება, წკეპლას ურტყამს. ბავშვები რომ კედლებს შემოივლიან, კითხვა უკვე ნასწავლი აქვთ და შეუძლიათ მერხებზე დასხდნენ. ზოგი თურმე ამ კედლების შემოვლას წელიწადზე მეტს ანდომებს.

რაკი აკაკის ანბანი შესწავლილი აქვს და რუსულ კითხვაშიც ნავარჯიშევია, ამ კედლებს ერთ დღეს შემოირბენს. მასწავლებელი ალერსით ხელს გადაუსვამს და უფროსებთან დასვამს.

რუსული ენის გაკვეთილზე ქართული ვისაც წამოსცდება, იმას ხელში თუნუქის ფირფიტას, ანუ „მარკას“ აჩეჩებენ და თან ხელის გულზე სახაზავს ურტყამენ. თუ გაკვეთილების დამთავრებამდე ბავშვს ეს ფირფიტა ხელში შერჩა, უსადილოდ დარჩება, ამიტომ ცდილობს, როგორმე სხვას შეაჩეჩოს. ეს ერთმანეთის გაბრიყვებას და ცბიერებას აჩვევს ბავშვებს.

აკაკი გიმნაზიაში ერთი კვირის მისულია, რომ მასთან ერთი ანგელოზის სახიანი პატარა ყმაწვილი მივა და მეგობრული, ტკბილი ღიმილით ქართულად რაღაცას ჰკითხავს. აკაკიც ქართულად უპასუხებს. ყმაწვილი სიხარულით შეაჩეჩებს ფირფიტას. აკაკი ფირფიტას კი ჩამოართმევს, მაგრამ სახაზავის დარტყმაზე არ დათანხმდება, მარტო ვართ და ვინ გაიგებსო. ბიჭი ეტყვის: მე თუ დამარტყეს, შენ რა ჭრელი პეპელა ხარო? და მასწავლებელთან დააბეზღებს. მასწავლებელი მრისხანედ ეტყვის აკაკის, ურჩობას როგორ ბედავ, აქ შენი სახლი ხომ არა გგონიაო? დარაჯებს დაუძახებს და უბრძანებს: როზგი დაჰკარითო. აკაკი ფანჯარაზე შეხტება, მინას გაამტვრევს, გადახტება და შინ გაიქცევა. მშობლებს განუცხადებს: თუ კიდევ გამაგზავნით იმ დასაქცევ გიმნაზიაში, თავს დავიხრჩობო! შეშინებული მშობლებიც თავს ანებებენ. კვირის თავზე წერეთლების ოჯახში მივა ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი — კოცებუ, ქართულის კარგი მცოდნე და ქართველების მოყვარული; აკაკის ყელაფერს დაწვრილებით გამოჰკითხავს, მერე მოეფერება და

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტყვის: შენ ნუღარავისი გეშინია! ხვალ ჩემთან მოდი და კლასში მე წაგიყვანო. მეორე დღეს კლასში აკაკის მართლაც კოცებუ შეიყვანს, თან ბრძანებს, მარკა და ცემა-ტყეპა მოსპეთო.

მაგრამ სკოლაში ცემა-ტყეპას მაინც არ მოშლიან.

ერთხელ ერთი მოსწავლე კლასში ხაჭაპურებს მოიტანს და ლატარეაში თითო კაპიკად ჩააგდებს; რამდენიმე ბავშვი დადებს თითო კაპიკს, მაგრამ ვისაც ლატარიით შეხვდება, ხაჭაპურებიც იმისი იქნება. აკაკის სული წასძლევს, ხელს მოაწერს და კაპიკს დადებს. შემოესწრებათ მასწავლებელი. სახაზავს ხელში დაიჭერს და ყველას ერთს ეკითხება: რომელი ხელით მოაწერეო? მერე კი იმ ხელზე ურტყამს სახაზავს. აკაკი იფიქრებს: წერითი გაკვეთილი მაქვს, არ მეტკინოს და კარგად დავწერო. ვეტყვი, მარცხენა ხელით მოვაწერეო. მასწავლებელიც მარცხენაზე დაჰკრავს, მაგრამ მერე ეჭვს შეიტანს, მარცხენათი ვერ მოაწერდაო. სახაზავს ახლა მარჯვენა ხელზე დაჰკრავს. აკაკი ტირის, ხელი უკანკალებს და წერით სამუშაოს ცუდად შეასრულებს. მასწავლებელი ნაწერს დაუწუნებს და სახაზავს კიდევ დაჰკრავს. გაკვეთილის დამთავრებამდე სულ ოთხჯერ დაჰკრავს და აკაკის ხელი სამუდამოდ გაუფუჭდება. აკაკის გალახვის ამბავს კოცებუ გაიგებს, მასწავლებელს შენიშვნას მისცემს და ამის შემდეგ განაწყენებული მასწავლებელი ბავშვს ამოიჩემებს და ყურადღებას საერთოდ აღარ აქცევს, აღარც ასწავლის და აღარც რაიმეს ეკითხება.

ბავშვებს მეტისმეტად ფიცხი და გულქვა ადამიანი, ვინმე მაქსიმოვიჩი გამოცდის. აკაკის ამხანაგები სახეპიროებს კი კარგად იტყვიან, მაგრამ საქმე მიხვედრილობაზე რომ მიდგება, დაიბნევიან. აქ თავს გამოიჩენს აკაკი და მაქსიმოვიჩი იმ მასწავლებელს, რომელიცაკაკისზედაცაღარ უყურებდა, მადლობას ეტყვის, აკაკის კი შუბლზე აკოცებს.

გამოცდებზე გამარჯვებული აკაკი შინ ფრთაშესხმული დაბრუნდება. მამამისს სტუმრები ჰყავს და აკაკის გამარჯვების ამბავს რომ გაიგებს, თავის ქებას დაიწყებს, თავჩაღუნული დედა კი თავს მაღლა არ იღებს. საღამოს, დასაძინებლად ჩაწოლილ აკაკის ის ლოგინზე ჩამოუჯდება და ეუბნება, მამამ წეღან გითხრა, შენთვის სხვებს რომ ეჯობნათ, შენი სირცხვილი იქნებოდაო. სხვები რომ კარგები იყვნენ, შენი სირცხვილი რატომ იქნება. სასირცხვილო ის არის, შენდათავად რომ არ ვარგიხარ და სწავლას არ ცდილობ. სხვებს კი არ უნდა ეჯიბრებოდე, უნდა ცდილობდე, შენ იყო კარგი, და სხვებიც თუ შენისთანები იქნებიან, უკეთესი არ იქნება? შენ ამით რას დაკარგავ? მათი სიკეთე კიდევაც უნდა გიხაროდესო.

მეორე კლასში აკაკი საჩუქრით გადადის. და ისევ მონდომებით სწავლობს. ერთი კარგი მასწავლებელი ჰყავს, გვარად ტროე. ბავშვებს მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს ახეპირებინებს რუსულად, ოღონდ ისე, რომ ყოველი სიტყვის მნიშვნელობა იცოდნენ და ახსნან.

ერთხელ, დიდ შესვენებაზე, რახან დილით არაფე-

რი უჭამია, აკაკი შინ მიირბენს, ახალუხის ჯიბეში ცხელ მჭადს ჩაიდებს, ისევ სკოლაში გაიქცევა, და ტროეს გაკვეთილზე დააგვიანდება. ტროეს ხუთი მოწაფე უკვე გამოძახებული ჰყავს და დაგვიანებულ აკაკისაც იმათ ამოუყენებს. ცხელი მჭადი აკაკის ბარძაყს დასწვავს და შმაშურს დაიწყებს. ტროე შეამჩნევს და ჯიბიდან მჭადს ამოაღებინებს, მთელ კლასს ხარხარი აუტყდება. მასწავლებელსაც ულვაშებში ჩაეცინება და მჭადს მაგიდაზე დადებს. ამ დროს კლასში ინსპექტორი შემოვა, დაიღრიალებს: ამ მჭადს აქ რა უნდა, ვინ მოიტანაო!... ერთი მოწაფე წამოხტება და მოახსენებს: წერეთელს ჯიბიდან ამოუღესო.

ინსპექტორი მიუბრუნდება აკაკის და შეეკითხება: რად მოგიტანიაო? ბავშვს ენა ჩაუვარდება, მაგრამ ამ დროს მასწავლებელი მოახსენებს: ამას ახლავე გაიგებთო, და აკაკის შეეკითხება: ეს რა არისო? აკაკი ამოიკნავლებს: მჭადიო, რითი ცხვებაო? სიმინდის ფქვილითაო. მერე შეეკითხება: სიმინდს როდის სთესენო, როგორ იზრდებაო, მჭადს როგორ აცხობენო. ბოლოს, კარგიო, ეტყვის, ხვალ ბრინჯის მოტანა არ დაგავიწყდესო. ინსპექტორი იფიქრებს: მჭადი მასწავლებლის დავალებით მოუტანიაო და კლასიდან უხმოდ გავა.

აკაკი მესამე კლასშიც ქების სიგელით გადავა და წიგნებით დააჯილდოვებენ. მეოთხე კლასიდან რუსულის მასწავლებელი შეეცვლება. მისი გვარია საპეგა, სულ ცხვირ-პირი ჩამოსტირის და სხვის სიცილზე გული მოსდის. საპეგა აკაკის აითვალისწუნებს და წინა მერხიდან უკანა მერხზე გადასვამს. წინა მერხებიდან ბავშვები თითს უჩვენებენ, აკაკი სიცილს ვერ იკავებს და საპეგა კლასში შესვლას აუკრძალავს. დირექტორი ამის მიზეზის გასარკვევად საპეგას გაკვეთილზე შევა. საპეგას კირილე ლორთქიფანიძე ეყოლება დაფასთან გაყვანილი. კირილე დინჯი ყმაწვილია, საპეგას კი არ უყვარს, მოწაფე რომ საკითხს დიდხანს უფიქრდება. დაფიქრებულ ლორთქიფანიძეს ზურგიდან მიეპარება, თავში ხელს დაჰკრავს და ცხვირ-პირს დაფაზე მიახლეკინებს. სწორედ ამ დროს შევა დირექტორი. ამის მერე საპეგას გიმნაზიაში ვეღარავინ ნახავს.



გიმნაზიის ისტორიის მასწავლებელს ივონებს აკაკი მოხუცებულობაში დაწერილ მოთხრობაში „ორი სიზმარი," იგი თურმე გატაცებით უყვებოდა ბავშვებს მონღოლებზე რუსების გამარჯვების ამბებს. აკაკი შინ რომ მივიდა, მამამ წიგნი გადმოუღო ქართველებისა და მონღოლების ბრძოლაზე. აკაკიმ ეს წიგნი უჩვენა მასწავლებელს. მან კი უთხრა, მაგ წიგნში ტყუილი ეწერება და ნუ დაუჯერებო; მერე ინსპექტორთან დაასმინა, და აკაკის წიგნი ჩამოართვეს, არ იცი, რომ ქართული წიგნების კითხვა აკრძალული გაქვთო? ერთხელ აკაკის სკოლაში ქართული სახარება უნახეს. მასწავლებელმა უთხრა: ჩვენს ენაზე დაწერილს ძაღლის ენაზე დაწერილი წიგნი ამჯობინეო? და წიგნი კედელზე მიუხეთქა, აკაკი კლასიდან გამოვარდა და სახლში მისულმა, ბალიშში თავჩარგულმა და გულამომჯდარმა დიდხანს იტირა.

აკაკის დის, ანას თქმით, აკაკი ექვს-შვიდ წლამდე ზეპირად გამოთქვამდა ხოლმე შაირებს; მერე როცა წერა ისწავლა, წერდა კიდეც. პირველი ლექსი რომ დაწერა, აკაკი თორმეტი წლისა იქნებოდა და იმ დღიდან კალამი ხელიდან აღარ გაუშვია. ეს არის ლექსი „კანდელისადმი":

...გაბრწყინდი, ჩემო კანდელო,
მინათლე ბნელი ღამისა!..
მინათლე, რადგანც დაგირჩა
სინათლე მცირე ჟამისა!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეკვი საბავშვო ბაღში

ცირა ქიტიაშვილი

გიამ ლეკვი მოიყვანა,
თქვა: — შეხედეთ, იცის ყეფა!
— ჰამ-ჰამ, ჰამ-ჰამ, — ვინ აცალა,
შეეჯიბრა უმალ ბექა.
ბექას შაქრო მიეშველა,
შაქროს — დათო,
დათოს — თინა,
ჩაისუნთქა კახაბერმა
და ბოხი ხმით შეუღრინა.
ყეფს ციცინო,
ყეფს თამარი,
ყეფს ლაშა და
ნაზი ლელა,
რა ბაღია ამისთანა,
მაღლს უტევენ ერთად ყველა.
ავობს ზურა,
ავობს კატო,
აქეთ მზია,
იქით — ტატო.
ჩუმად არის მაღლი მარტო
და შესცქერის თავის ჰატრონს...
— რად ყეფენო, ნეტავ, რატომ?

მხატვარი **ბესო ხიდაშელი**

ნოდარ გუგუშვილი

კალათბურთი გამოიგონა აშშ-ის ქალაქ სპრინგფლდის კოლეჯის მასწავლებელმა, ცნობილმა რაგბისტმა და ტანმოვარჯიშემ, დოქტორმა ჯეიმს ნეისმიტმა. 1891 წლის 21 დეკემბერს კოლეჯის მოსწავლეთა შორის მოეწყო პირველი ოფიციალური მატჩი. ამიტომ ეს დღე კალათბურთის დაბადების თარიღად არის გამოცხადებული. იმ შეხვედრაში 18 ყმაწვილი მონაწილეობდა, ესე იგი თითო გუნდში 9-9 მოთამაშე გამოდიოდა. მოთამაშეთა რაოდენობა გუნდში მოგვიანებით შემცირდა ხუთამდე.

თავდაპირველად ბურთს ხის ჩვეულებრივ კალათაში ისროდნენ. ამიტომ უწოდა ნეისმიტის მეგობარმა და კოლეგამ ფრენკ მორგანმა თამაშს ბასკეტბოლი („ბასკეტ“ ინგლისურად კალათს ნიშნავს, „ბოლ“ — ბურთს).

ფარები მოედანზე პირველად 1892 წელს დადგეს. ერთი წლის შემდეგ კი ხის კალათები რკინის რგოლებით შეცვალეს.

საერთაშორისო სარბიელზე კალათბურთი 1901 წელს გავიდა — ამ დროს ის, როგორც მოძრავი სპორტული თამაში, ბუფალოს პანამერიკულ გამოფენაზე აჩვენეს.

თანამედროვე კალათბურთის უშუალო წინამორბედად სპეციალისტები მაინც მიიჩნევენ ამერიკის კონტინენტზე გავრცელებულ ხალხურ თამაშს „პოკ-ტა-პოკს“, რომელსაც უთუოდ იცნობდა ნეისმიტი. იგი, ალბათ, იცნობდა მექსიკურ კაუჩუკის ორიგინალურ ბურთსაც („ოლამატიტცლი“), რომელსაც მექსიკის მკვიდრი ინდიელები — აცტეკები ოსტატურად აძვრენდნენ ქვის რგოლში. ნეისმიტის დამსახურება ის გახლავთ, რომ ეს ცოდნა მან ორგანულად დაუკავშირა თავის გამოგონებას.

საქართველოში კალათბურთი საკმაოდ ორიგინალური და უჩვეულო გზით შემოვიდა. 1922 წელს მოსკოვში, სოკოლნიკის სტადიონზე, საკავშირო სპარტაკიადის დღეებში, თბილისის მუშფაკის ფიზკულტურული წრის ხელმძღვანელმა

ალექსანდრე ჭელიძემ ნახა უცნობი თამაში, ჩაიწერა მისი წესები და უკან დაბრუნებისთანავე გააცნო იგი ნაცნობ-მეგობრებს. ერთი წლის შემდეგ, მუშფაკის ეზოში ორ ადგილობრივ გუნდს შორის გამართულმა პირველმა ოფიციალურმა მატჩმა დასაბამი მისცა კალათბურთის ისტორიას საქართველოში.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ამ უდავოდ აღიარებულ და დადგენილ ფაქტსაც აქვს წინაისტორია. 1901 წელს თბილისში გამოვიდა ქალაქის ვაჟთა მეორე გიმნაზიის ტანვარჯიშის მასწავლებლის, ჩეხი ა. სკოტაკის წიგნი „ტანვარჯიშული თამაშები". წიგნის ერთ-ერთი განაკვეთი „თამაში დიდი ბურთით" დათმობილი აქვს კალათბურთის აღწერასა და წესებს. სამწუხაროდ, არ ვიცით, თამაშობდნენ კიდეც თუ არა მაშინ კალათბურთს საქართველოში.

ქართული კალათბურთის ისტორია იწყება 20-იანი წლების საუკეთესო გუნდით — „სინათლით", გრძელდება თბილისის ოფიცერთა სახლის კლუბით და განვითარების ზენიტს აღწევს თბილისის „დინამოს" გამარჯვებებით.

„დინამოს" კალათბურთელთა კლუბი შეიქმნა 1933 წელს. პირველ დიდ წარმატებას საკავშირო სარბიელზე 1950 წელს მიაღწია. ოთხჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი, სამჯერ — საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი; ერთხელ მოიგო ზამთრის საკავშირო პირველობა. გაიმარჯვა ბევრ საერთაშორისო შეჯიბრებასა და ტურნირში. თბილისის „დინამოს" კალათბურთელები, 1947 წლიდან მოკიდებული, რეგულარულად გამოდიან საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში. სხვადასხვა დროს ევროპის ჩემპიონები იყვნენ ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, გურამ მინაშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ზურაბ საკანდელიძე, ამირან სხიერელი, მიხეილ ქორქია, ნიკოლოზ დერიუგინი, ქალებში — ალისა ასიტაშვილი. 1967 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა ზურაბ საკანდელიძე, 1982 წელს — ნიკოლოზ დერიუგინი; 1972 წელს მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებში ოქროს მედლები დაისაკუთრეს ზურაბ საკანდელიძემ და მიხეილ ქორქიამ...

დარწმუნებული ვართ, კალათბურთის ისტორია კვლავ გამდიდრდება ქართველი ახალგაზრდების ახალი, სასახელო წარმატებებით.

სპორტსმენი ბაბუა

გურამ კობერიძე

სპორტს მისდევს ჩემი ბაბუა,
ჯერ არ გამხდარა ავადა,
ვარჯიშმა მისი სიბერე
კარგა ხნით გადაავადა;
ამბობს — სპორტი მაცილებსო
მე ბაცაცა ბაცილებსო
და არც ერთი მიკრობიო
ზედ არა მეავს მიმკრობიო;
ბებო კი სპორტს აქიაქებს
და ქეც ქექავს აფთიაქებს.

მხატვარი **მანანა მორჩილაძე**

ვიწყებთ საუბრებს, რომელთა საერთო სათაური იქნება „ჭირნახული“.

ჭირნახული ადამიანის ხელით მოყვანილ მიწის მოსავალზე ითქმის. რატომ მაინც და მაინც ჭირნახული? იმიტომ, რომ მას დიდი გარჯა სჭირდება, ეს ნათესები მხილველნი არიან ადამიანთა თავგადადებული შრომისა, მიწას ნაპკურები მათი ოფლისა, მიწის სიყვარულით ათრთოლებული მათი თითებისა, ლოცვა-ვედრებისა, — მოწყალე თვალით გადმოეხედა ზეცას, აერიდებინა უამინდობა: სეტყვა, უცაბედი ყინვა, ძლიერი ქარი, კოკისპირული წვიმები, გვალვა... და თუ ადამიანი კარგ მოსავალს მიიტანს შინ, იგი ძლიერად, გამარჯვებულად თვლის თავს, თვითონ მოსავალს კი მოფერებით უწოდებს ჭირნახულს.

თანამედროვე ადამიანების დიდი ნაწილი დაშორდა მიწას, მათ შორის ჩვენთანაც, ჩვენს ქვეყანაში. და მაინც, ვფიქრობთ, არავისთვის ზედმეტი არ იქნება იცოდეს, რას ვჭამთ, რა როგორ მოდის და საიდან. ცოდნა ხომ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავისთავადაც არის დიდი სიამოვნება.

დავიწყებთ ყველაზე მთავარით — პურით. საიდანა გვაქვს პური? ხორბლიდან!

ჭირნახულთა შორის ყველაზე ამაყად ხორბალი წარმოითქმის. სჭირდება ვინმეს განმარტება, რომ დაფქული ხორბლისაგან ცხვება პური? მერე რამდენნაირი პური: თეთრი, ძალიან თეთრი, თალხი, შავიც კი; ფუნჩულა, დაბრაწული, კნატუნა, თხელი ლავაშები, შოთი... ტკბილი ნამცხვრების ნაირსახეობანი ხომ ვიცით, აურაცხელიც კია. ხორბლისგანვე ამზადებენ მაღალხარისხოვან სასმელებს, სპირტებს, ბურღულეულს. მისი სულ ბოლო ნარჩენებიც კი ძვირფასი საკვებია ცხოველებისათვის.

მთელი მსოფლიოს ნახნავების თითქმის მესამედი ხორბალს უკავია, თანაც ხორბალი ყველგან მოჰყავთ, დედამიწის ყველა კონტინენტზე. მოჰყავთ სხვადასხვანაირი ხორბალი. მაგალითად, ეთიოპურ ხორბალს იისფერი დაჰკრავს, არის მწვანემარცვლიანიც, წითელმარცვლიანიც. სხვადასხვა ჯიშის ხორბალს სხვადასხვანაირი აქვს თავთავიც, გემოც. ზოგი თავთავი თითისტრისებურია, ზოგი კვადრატული, ზოგი პრიზმული. ზოგი ფხიანია, ზოგი უფხო.



ტატვარი **თამაზ ხუციშვილი**



19037

ხორბალი უძველესი კულტურული მცენარეა. ის ჯერ კიდევ 7-8 ათასი წლის წინათ მოჰყავდათ წინა აზიაში. მსოფლიო ხორბლის 30 ძირითად სახეობას ითვლის. ამათაგან 12-ის სამშობლო წინა აზიის ქვეყნებია, მათ შორის საქართველო. ნახეთ, როგორ მშობლიურად ულერს ჩვენებური ხორბლის სახელები: გვაწა ზანდური, ჩელტა ზანდური, ასლი, ძველი კოლხური ასლი, დიკა, თავთუხი, მახა, დოლის პური; ერთ ჯიშს დედაც კი ჰქვია. ჩვენში ხორბალი უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში და დასავლეთის მაღალ ადგილებში ითესება.

გავრცელებულია ხორბალთა რბილი და მაგარი ჯიშები. რბილი ხორბალი დედამიწის შედარებით გრილ ადგილებში მოჰყავთ, სითბოს მოყვარული მაგარი ხორბალი კი — სამხრეთ ქვეყნებში. თესვის თავისებურებანიც ორ ძირითად ჯგუფად ჰყოფს ხორბალს: საშემოდგომოდ და საგაზაფხულოდ. საშემოდგომო ნათესია, როდესაც ზაფხულის დასაწყისში მოხნულს სექტემბერში ან ოქტომბრის დასაწყისში მიაბარებენ თესლს. შემოდგომის წვიმები და მზე მალე გააღივებს მარცვალს და ყინვების დაწყებამდე ჯეჯილი კარგა ძლიერად მოიყრება. ასეთი ჯეჯილი კარგად გრძნობს თავს თოვლქვეშ. ფესვი ვითარდება, გაზაფხულზე კი მოღონიერებული ხვდება ამინდის ცვალებადობას. საგაზაფხულო ხორბალი გაზაფხულზე ითესება, თუ ამინდმა ხელი შეუწყო, არც ის მოგვცემს ნაკლებ მოსავალს.

ძველად ყანებს ნამგლებით მკიდნენ, კევრებით ლეწავდნენ კალოზე. ახლა კომბაინი მკის და ლეწავს კიდეც.

ხორბალი ყოველთვის დიდი იმედი იყო მშრომელი კაცისა. ქართველი გლეხი იტყოდა: „შვიდ მაისს შვიდი ღერი მაინც რომ გქონდეს, კიდევ იმედი გქონდესო“. მართლაც, თუ მაისის წვიმები დროზე წამოვიდოდა, გამეჩხერებული ჯეჯილიც კარგ ყანად იქცეოდა. კარგ ყანაზე ამბობდნენ: „ზედ რომ საცერი გააგორო, ძირს არ ჩამოვარდებაო.“ გლეხი ეფერებოდა და ეალერსებოდა ყანებს: ნიავი რომ დაუბერავდა და ყანას ააღელვებდა, გლეხი იტყოდა, ყანა კურდღლაობსო, ანდა: ააშრიალა ყანამ თავისი მზეკაბანიო. ყანაზე უამრავი ლექსია შექმნილი, აი ერთი:

ყანაო, ოქრო-ზურმუხტო,
გლეხის დიდებავ, ყანაო,
იკურთხოს მისი მარჯვენა,
ვინც გთესა, მოგიყვანაო.

ხორბალმა დიდი მოსავალი იცის, კარგ წლებში 70-80 ცენტნერს აღწევს ჰექტარზე. მაგრამ მას ადვილად აზიანებს გვალვა, ცხელი ქარი, სეტყვა, დაავადებანი; ამიტომაც ხორბლის ნათესებს თავს უნდა ევლებოდეს ყველა, დიდიც და პატარაც.

ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

აკაკი და ჯიბგირი

ერთხელ თემობაში აკაკის ჯიბგირი მიეპარა და ჩუმად ხელი ჩაუყო ჯიბეში, სადაც ნაწერი ქაღალდების მეტი არა იყო-რა. პოლიციელმა თურმე შენიშნა და წაავლო ხელი ჯიბგირს. მწერალმა რომ დამფრთხალი და შეშინებული ახალგაზრდა ქურდი დაინახა, შეეცოდა, მიუბრუნდა და სიცილით უთხრა: «შე კაცო, აკი ერთხელაც გითხარი, მაგას ნუ შვრები-მეთქი! რათ იცი ხოლმე ჩემს ჯიბეში ხელის ჩაყოფა? ხელნაწერი რომ არ წაიკითხო, არ იქნება? როცა დაიბეჭდება, მაშინაც მოესწრები სხვებთან ერთად წაკითხვასო!»

ეს რომ პოლიციელმა გაიგონა, იფიქრა: «ალბათ, ვინმე კარგი შეხუმრებული ნაცნობი ყოფილაო!» ბოდიში მოიხადა და გაუშვა ჯიბგირი.

რამდენიმე წლის შემდეგ მწერალს ბარათი მიუვიდა: «დიდი ხანია, რაც კი რამ დაბეჭდილა თქვენი და იბეჭდება, ყველას ვკითხულობ. თქვენ რომ პირველად გნახეთ, იმ დღიდანვე მე ხელი ავიღე ჩემ პირვანდელ ხელობაზე, შევისწავლე წიგნების კინძვა, მეყდე გახლავარ და თუ ინებებთ, წიგნებს ნახევარ ფასად შეგიკონძავთო».



ქსოვა

ლილი ზურაბაშვილი

გაკვეთილი მე-6

თვლების კლება

თუ წაღმა პირიდან გვინდა თვლების დაკლება, ორი ან რამდენიმე თვალი ერთად უნდა გამოვიღოთ ან ზევიდან წაღმით, ან ქვეშიდან წაღმით (სურ 1.).

თუ უკუღმა პირიდან გვინდა დაკლება, თვლები ერთად უნდა გამოვიღოთ უკუღმით.

თვლების დამაგრება

როდესაც ნაქსოვს მოვამთავრებთ, უკანასკნელი რიგის თვლები უნდა დავამაგროთ. ამას გადაქნა ჰქვია. პირველი თვალი მოუქსოვლად გადავიტანოთ, მეორე თვალი გამოვქსოვოთ; მარცხენა ჩხირით გავაფართოოთ პირველად გადატანილი თვალი და მარჯვენა ჩხირზე გამოქსოვილი მეორე თვალი ამ გაფართოებულ თვალში გავატაროთ. მომდევნო თვლები ამავე წესით უნდა გადავქნათ და სულ ბოლოს უნდა გავამაგროთ. (სურ. 2).

თვლების დამაგრება შეიძლება სხვაგვარადაც: სასურველი დეტალების მოქსოვას რომ დავამთავრებთ, ერთი რიგი უკუღმა გამოვქსოვოთ, შემდეგ 4 ან 6 რიგი — წაღმა, მერე ნაქსოვი უკუღმა გამოქსოვილ რიგზე გადავკეცოთ, გამოვაძროთ საქსოვი ჩხირი და ნემსით და შესაფერისი ძაფით ყველა თვალში ამოვუხვიოთ.





თავსატეხი



შეავსეთ უჯრედები ფრინველების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ სიტყვა «კუბდარი» — სვანური კერძის (ხორციანი პურის) სახელწოდება.

შადგინა მესტიის რაიონის ადიშის არასრული საშუალო სკოლის მოსწავლე ბესიკ ავალიანმა.



ასანთის ღერებისაგან შედგენილ ჭიქაში პურის ნამცეცია ჩავარდნილი. გადააადგილეთ მხოლოდ ორი ასანთის ღერი ისე, რომ პურის ნამცეცი ჭიქის გარეთ აღმოჩნდეს. ამ დროს ჭიქის მდებარეობა შეიცვლება.

დილა

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1904 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
რევაზ ინანიშვილი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, მანანა ანთაძე, ლამარა გაგუა, სესილ გოგიბერიძე, მერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, თენგიზ ჩალაური (პ/მგ.მდივანი), გივი ძნელაძე, გივი ჯიჯინაძე.

სამხატვრო რედაქტორი
გიორგი როინიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ენდი ფერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის 14. ტელ: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის—93-98-18; განყოფილებების 93-98-19.

გადაეცა ასაწყობად 20.07.89 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.89 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 168.000, შეკვეთა № 1689

ყდაზე ნახატი
ზაურ დეისაძისა

«Дила» («Утро») — Ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина, для младшеклассников, на грузинском языке.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.
Главный редактор Реваз Инанишвили (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.
Объём 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ №1689

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა

6 22/140

მხატვარი **ბესიკ ზუბაშვილი**



რამდენი შეცდომაა ამ ნახატში?